# დილა

მარტი–აპრილი 1997 წელი



ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული საბავშვო პოეზიის მცირე ანთოლოგია

ოთარ ქობულაშვილი

## ნანა ნინოს ქალზედ

ნანას გეტყვი ნენესა,
მთვარებ შუქთა მფენელსა,
იადონსა ტკბილად მხმობს,
ვარდსა, ჩემს გულს მცენესა.

ხარ ჯერ ჩჩვილად ხმობილი,
ნოსტის ქალაქს შობილი,
ყოვლთ ბანოვანთ ხემწიფად
დროზედ იქმნე ცნობილი.

შენ, ვარსკვლავო ცისაო,
ქმნულო განგებისაო,
მოდი, ჰაჰილო, ნახე,
ბარტყო შევარდნისაო!

მსურს გიხილო მღხინარე,
ჩემს საამოდ მცინარე,
მეც გაგირწყებ კაკანსა,
დედა თუ გყავს მძინარე.

სიხარულო გულისავ
და საუნჯევ სულისავ,
ჩვენს კერმოც გაბიბინდი,
იავ გაზაფხულისავ!



მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 6427

ნანა ჩარკვიანი

მხატვარი ნუგზარ გიგაური

# ცხრა ნეტარება



სახარებაში შეხვდებით ადგილს, სადაც იესო ქრისტე მთაზე, მისირგვლივ შეკრებილ ხალხს ასწავლის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა ნეტარებას, ე. ი. ყველაზე მაღალ, ყველაზე სრულ ბედნიერებას.

ყოვლად ნეტარი, სრულიად ბედნიერი თავად ღმერთია, მას არაფერი აკლია, ის სრულყოფილია. ადამიანი ღვთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი. მისთვის ნეტარება, ღვთის მსგავსად, ბუნებრივი, ჩვეულებრივი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ცხოვრებაში სრულიად საპირისპიროს ვხვდებით - ხშირად ჩვენ რაღაცით დაუკმაყოფილებელნი ვართ, რაღაც გვაწუხებს, რაღაც გვაკლია, რაღაც გვტკივა. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ყველა ადამიანი სჩადის ცოდვას. ცოდვას კი ასეთი თვისება აქვს - შეიძლება დროებით რაღაც სურვილი შეგვისრულოს, მაგრამ სულ მალე ისევ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გვეუფლება. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ცოდვა ადამიანს ღვთისაგან აშორებს.

როგორ უნდა დავუახლოვდეთ ღმერთს?

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ათი მცნების შესახებ. ათი მცნება გვასწავლის, რომელ ცოდვებს უნდა ვერიდოთ ყველაზე მეტად, ე. ი. რა არ უნდა გავაკეთოთ. მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. ქრისტე გვასწავლის უფრო მეტს - რა უნდა ვაკეთოთ იმისათვის, რომ ვიყოთ ღვთის მსგავსები და მოვიპოვოთ მარადიული ცხოვრება ღმერთთან ერთად.

სახარებაში მაცხოვარი მოგვიწოდებს: „იყვენით სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათაი სრულ არს“. მაგრამ ღმერთივით სრულყოფილები რომ გავხდეთ, მას რომ მივემსგავსოთ, ეს შეუძლებელია ღმერთის დაუხმარებლად.

ღმერთის დაუხმარებლად ცხოვრება მოინდომა პირველმა ადამიანმა - ადამმა. და რადგან ჩვენ ყველანი ადამის შთამომავლები ვართ (იმიტომაც გვქვია ადამიანები), ვიმეორებთ ადამის ცოდვას. ამ ცოდვას ამპარტავნება ჰქვია და მან დედამიწაზე მოიტანა ავადმყოფობა, უბედურება, სიკვდილი. სიცოცხლის ძალას, ბედნიერებას ღმერთი გვაძლევს. და თუ უმისოდ ყოფნას მოვინდომებთ, სიცოცხლის ძალაც მოგვაკლდება და ბედნიერებაც. ადამის შთამომავლებიდან ვერავინ შეძლო ადამის ცოდვის გამოსწორება, სანამ არ მოვიდა იესო ქრისტე - ღმერთკაცი, ღმერთი, რომელიც ადამიანად იქცა! სწორედ მან გვაჩვენა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ნამდვილმა ადამიანმა. მას არც ერთი ცოდვა არ ჩაუდენია. ქრისტეს უწოდებენ ახალ ადამს, ამიტომ ჩვენ, ქრისტიანები განახლებული ადამიანები ვართ. ჩვენ უნდა დავტოვოთ ძველი ადამის გზა და ვიაროთ ახალი ადამის - ქრისტეს გზით, თუ გვინდა ქრისტეს მსგავსად ვძლიოთ ცოდვას, უბედურებას, სიკვდილს. ეს გზა მოცემულია ქრისტეს სწავლებაში და ცხრა ნეტარება ეწოდება. ვისაუბროთ თითოეულ მათგანზე ცალკ-ცალკე.

პირველი ნეტარება - „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ - გვასწავლის თავმდაბლობას. სწორედ თავმდაბლობით, ანუ სიმდაბლით უნდა დავუპირისპირდეთ ამპარტავნებას. გლახაკნი სულითა არიან ის ადამიანები, რომლებიც აღიარებენ, რომ მარტო ადამიანს ღმერთის დაუხმარებლად, ცხოვრება არ შეუძლია. ყველაფერს, რაც ადამიანს სჭირდება, იქნება ეს წყალი, ჰაერი, საკვები, სიცოცხლის ძალა თუ სულიერი ძალა, ღმერთი გვაძლევს. გლახაკნი სულითა არიან ასევე ისინი, ვინც აღიარებს და ინანიებს საკუთარ ცოდვებს და ღმერთს პატიებას სთხოვს.

როგორ შეიძლება ნეტარი იყოს ადამიანი, რომელსაც თვითონ არაფერი გააჩნია საკუთარი ცოდვების გარდა? იკითხავთ ალბათ. ვინც ღმერთისაგან ითხოვს, მას უხვად მიეცემა წყალობა, ანუ ყველაფერი ის, რაც მისი ცხოვრებისათვის აუცილებელიც არის და მნიშვნელოვანიც. ამპარტავანი კი არ ითხოვს ღვთისაგან. ამიტომ მას არც მიეცემა, და, ბოლოს, იმასაც დაკარგავს, რაც ჰქონდა.

ვინც აღიარებს საკუთარ ცოდვებს, ვინც გრძნობს, თუ რამდენად შორს არის ღმერთისაგან, ძლიერ წუხს ამის გამო. სწორედ მათ შესახებ ამბობს უფალი მეორე ნეტარებაში - „ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ“. ღმერთი ხედავს ასეთ ადამიანებს, შეცოდებებს პატიებს და სი-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანულის სანაცვლოდ სიხარულს ანიჭებს.

ვინც მთელი გულით აღიარებს საკუთარ სისუსტეებს და ნანობს თავის ცოდვებს, მას სიმშვიდე ეუფლება, რადგან იცის, რომ რა დიდი უბედურებაც არ უნდა შეემთხვეს, ღმერთი აუცილებლად უშველის, ხოლო თუ რაიმე დააშავა და პატიება ითხოვა, ღმერთი აუცილებლად აპატიებს. იმიტომაც არის ის მშვიდი, რომ ყველა შემთხვევაში ღმერთის იმედი აქვს. ასეთებზე ბრძანებს უფალი: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაი“. ეს არის მესამე ნეტარება.

ქრისტიანი სულიერ გზაზე არასოდეს არ უნდა გაჩერდეს, სიმშვიდე არ არის საბოლოო მიზანი. სულიერი სიმშვიდე საჭიროა, რომ უკეთ შეძლო ღმერთთან ურთიერთობა. სულიერი კიბის შემდეგი საფეხურია მეოთხე ნეტარება - „ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი გაძღენ“. უმაღლესი სიმართლე თვითონ ღმერთია. რას ნიშნავს მშიერნი და მწყურვალნი სიმართლისათვის? გაიხსენეთ საკუთარი თავი - ისევე ძლიერ, როგორც მშიერს გსურთ ხოლმე საჭმელი და მწყურვალს - წყალი, მორწმუნეს უნდა სურდეს ღმერთთან სიახლოვე. ყველაზე მაღალ სიმართლეს რომ დაუახლოვდე, უნდა ეცადო, შენ თვითონ იყო მართალი, არ ჩაიდინო უსამართლობა. ღმერთი ყველას მიმართ სამართლიანია, უფრო მეტიც, მას ისე უყვარს თითოეული ჩვენგანი, რომ განუზომლად მეტ სიკეთეს გვაძლევს, ვიდრე ჩვენ ვიმსახურებთ.

როდესაც ადამიანი მიხვდება, თუ რამდენად კეთილია ღმერთი მის მიმართ, თვითონ უჩნდება სურვილი, სხვის მიმართ გამოიჩინოს სიკეთე - დაეხმაროს გაჭირვებულს, მშიერს, ავადმყოფს, მწუხარეს, ურწმუნოს. ეკლესიური ენით თუ ვიტყვით, ის თვითონ ხდება მოწყალე, რაც მას დიდ სიხარულს ანიჭებს. უფალი ასეთ ადამიანზე ამბობს - „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“. ეს არის მეხუთე ნეტარება.

ვინც ცდილობს, არ ჩაიდინოს ცოდვა, ვინც სიმშვიდე მოიპოვა და მოწყალე გახდა, იმას უნდა არა მხოლოდ გარეგნული ქცევითა და სიტყვით, არამედ შინაგანი ცხოვრებითაც სუფთა იყოს, გულშიც კი არ გაივლოს ბოროტება. ჩვენ გულით გვიყვარს, გულით გვძულს, გულით გვიხარია და გულით ვწუხვართ. თუ ჩვენი გული სავსე იქნება შურით, სიძულვილით, მაშინ იქ უფლის ადგილი აღარ დარჩება. სუფთა გულში კი ღმერთი დაიმკვიდრებს ადგილს და სიყვარულით აგვავსებს. ამას ნიშნავს მაცხოვრის სიტყვები - „ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. ეს არის მეექვსე ნეტარება.

ვინც სულიერი სიმშვიდე მოიპოვა და სიყვარული განიცადა, სურს ეს სხვასაც განაცდევინოს. ასეთი ადამიანები ყველა სხვას ისე ეპყრობიან როგორც ყველაზე ახლობელს, ხოლო თუ სადმე მოჩხუბარები ნახეს, ცდილობენ შეარიგონ. მათ გვერდით საოცარ სულიერ სიმყუდროვეს ვგრძნობთ. ისინი ჩვენზე კეთილ გავლენას ახდენენ, ე. ი. კეთილისმყოფელნი ხდებიან. მეშვიდე ნეტარებაში მათზე ნათქვამია - „ნეტარ იყვნენ კეთილისმყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ“.

მერვე და მეცხრე ნეტარებაში საუბარია სულიერი ცხოვრების ყველაზე მაღალ საფეხურზე, როცა მორწმუნე ადამიანს ღვთის გულისათვის უხდება უსამართლობის მოთმენა - „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი. ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გყუედრიდნენ და გდევნიდნენ და თქუან ყოველი სიტყუაი ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუით ჩემთვის. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა...“

ხშირად, სულიერი ღირსებების მქონე ადამიანის მიმართ სხვებს მტრული გრძნობები უჩნდებათ. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ მართალი ადამიანის გვერდით უფრო აშკარად ჩანს იმათი უზნეობა, ვინც ულმერთოდ ცხოვრობს, არ ასრულებს მცნებებს. ისინი დევნიან მართალ ადამიანებს, უსამართლოდ ეპყრობიან მათ. სხვადასხვა ბოროტებას სჩადიან მათ მიმართ, ხანდახან კლავენ კიდეც. პირველი საუკუნეების ქრისტიანებს უსჯულო მეფეები და მთავრები ხოცავდნენ, რათა სხვებს არ მიებაძათ მათთვის. თავად ქრისტე ულმერთო და ამპარტავანმა ხალხმა ჯვარს აცვა. მაგრამ ქრისტემ დაამარცხა სიკვდილი, მკვდრეთით აღდგა და ყველა მორწმუნეს მარადიული სიცოცხლე მოუპოვა.

ყველა ეს ნეტარება აღასრულა თავად უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ. ვინც ეცდება ამ გზით ცხოვრებას, იმას იესო ქრისტე სასუფეველს ჰპირდება. სასუფეველი იქ არის, სადაც სუფევს, მკვიდრობს, ე. ი. სადაც არის უფალი, ღმერთი. ღმერთი კი, როგორც თვითონ განაცხადა თავის შესახებ, არის ნათელი, სამართლიანობა, მარადიული სიცოცხლე, სიკეთე, სიყვარული, ესე იგი განუზომლად დიდი ბედნიერება. სწორედ ასეთ ბედნიერებას ჰქვია ნეტარება. სასუფეველი შეიძლება არსებობდეს ჩვენს გულებში, ჩვენს შორის, იგი ქრისტემ თავისი ჯვარცმით მოიპოვა. იგი ახლავე, აქვე იწყება და მარადიულად გრძელდება გარდაცვალების შემდეგ.

ღმერთმა ინებოს და ჩვენს გულში დაიმკვიდროს ადგილი, და სასუფეველში მასთან ერთად ცხოვრების ღირსი გაგვხადოს.

ამინ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

## გოგებაშვილის «დედა ენა»

– ეს წიგნი ერის ბურჯია! – ხარობენ მამა-პაპანი,
ხარმა თქვა: მეც შიგ ჩამდენეთ, ერის მეც ვზიდე ჭაპანი.

მოფრინდა შავი მერცხალი ჭიკჭიკით, ყელმოღერებით
და წიგნში, როგორც ბუდეში, ჩაფინა იის ღერები.

პაწია წიგნი ბედ-იღბლით კიდობანს გამოემგვანა
და, რაც შიგ გადანახულა, ის გადაარჩენს ქვეყანას.

მე კი მგონია, ფრესკებზე ერმა რომ ზის დედის კალთაში,
თუ „დედა ენას“ მიუტანთ, დიდივით კრძალვით გადაშლის,
თითს გააყოლებს ასოებს:
ვაზის ლერწს,
ნამგალს,
ნიამორს,
ენას ქართულად აიდგამს და იტყვის: აი, იაო.

იდიდე, წიგნო, იდიდე, ქართული სულის ლაზათო,
ღმერთი თუ არა, ღმერთკაცი იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# იადონის ამბავი



დაბადების დღეზე ტარიკოს იადონი აჩუქეს.

გალობდა იადონი და რას გალობდა! – მთელი სამეზობლო ტკბებოდა.

ლევანმა – ერთი დღით მათხოვე შენი მგალობელიო, სთხოვა ტარიკოს – რა მოხდება, ერთი დღე ჩემს სახლშიაც იჭიკჭიკოსო, სულ ერთია, ხომ შენთანაც ისმისო.

კარგიო, დაეთანხმა ძმაკაცს ძმაკაცი და გალია გამოუტანა, თან დაარიგა, რა ეჭმია ჩიტისათვის, რა ესმია! ჩიტის საკვებიც გაუხვია, შენ რა იცი, სად რა უნდა იყიდოო.

ჩიტივით იყო ფრთაშესხმული ლევანი, მიჰქონდა გალია და მასაც გულში თითქოს ჩიტი უმღეროდა.



რად გინდა – მთელი დღე და მთელი ღამე ისე გავიდა, იადონს არ უმღერია. როცა არც მეორე დღეს იგალობა და არც მესამე დღეს გაიღო ხმა, შეწუხებულმა ლევანმა გალია პატრონს დაუბრუნა. გალიის დადგმა და ჩიტის აჭიკჭიკება ერთი იყო.

– არაფერი მესმის! – გაუკვირდა ტარიკოს! – რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი! ჩემთან მღერის, შენთან – არა!

ლევანი შეფიქრიანებული იყო. ბიჭი კარგა ხანს დუმდა, მერე, თითქოს რაღაც საიდუმლო უნდა გაუმხილოსო, ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ალაპარაკდა:

– იცი, ტარიკო, რატომ არ იმღერა ჩემთან? ჩიტი მყავს მოკლული!

– ჩიტი?

– ჰო, ჩიტი! შარშან, სოფელში.

– ცუდია! მაგრამ ეს რა შუაშია, საიდან უნდა იცოდეს ჩემმა იადონმა ეს ამბავი!

– რა ვიცი! როგორც ადამიანებში ვრცელდება ხმა, იქნებ ჩიტებშიც ასეა!



არ ვიცი, არის ასე თუ არ არის ასე, ის კი ფაქტია, რომ ტარიკომ და ლევანმა კიდევ ერთხელ სცადეს, კიდევ ერთხელ გაიტანეს გალია ლევანის ოთახში და არც ახლა იგალობა ჩიტმა.

იადონი თავდავიწყებით მარტო ტარიკოს სახლში გალობდა! – შიოდა – სხვანაირად ჭიკჭიკებდა, მაძღარი – სულ სხვა ხმაზე მღეროდა! მთელი სამეზობლო მოხიბლული იყო მისი ხელოვნებით.

მარტო ლევანი იყო გულდაწყვეტილი საკუთარი საქციელით: „არა, ჩიტი როგორ მოვკალი! ჩიტს ქვა როგორ ვესროლეო“, ფიქრობდა ბიჭი გულწრფელად და არ იცოდა, რა ექნა, როგორ მოენანიებინა თავისი საქციელი, არადა, მონანიება რომ საჭირო იყო, ეს ბაბუასგან იცოდა!

მხატვარი ნანა იოსელიანი

ბესიკ ხარანაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახლში ვინ თქვა ბურთაობა

აქეთ ქიტო, იქით ცვატა,
ბურთაობა გაიმართა,
გამოენთო ალექსანდრე
იატაკზე ალებს ადენს.
მაგრამ უცებ მშვენიერმა
მარიამმა ჩაიარა.
აბა, ბიჭო ალექსანდრე,
აბა, ცვატა, აბა, ქიტო
დედოფალი მობრძანდება,
გზა მიეცით, გაიწითო,
- სახლში ვინ თქვა ბურთაობა,
უწესობა რად იცითო,
ვინძლო, გატყდეს ფანჯარა და
იატაკიც გაიცვითოს.

## სამი წლისა არის...

ალექსანდრეს ხუთები ჰყავს
და მარიამ ქალიც -
5, 5, 5, 5,
ამიჭრელდა თვალი.
ბესიკი კი,...
3, 3,
სამი წლისა არის.

ლევან ხარანაული

ნაზი თარგამაძე



## ჭირვეული მარტი

– სად წავიდა ზამთარი,
უქნარა და ზანტი,
– თოვლის კაბა სად არი!? –
ჭირვეულობს მარტი.

შფოთავს, ბორგავს, კაჭასობს,
აბაკუნებს ფეხებს.
ვინ მიმალავს კაბასო,
დარბის, ეძებს ხევ-ხევ.

– რას სულელობს მარტი –
გაზაფხულის მაცნე,
თეთრი თოვლის მანტოს
ნეტავი ვინ მაცმევს,

მზე ვერ ითმენს სიცილს,
ცა სცრის წვიმის საცერს
და აჭრილი ციმციმ
ველს თხელ კაბას აცმევს.

კვირტებს, როგორც სანთლებს
ღამის ბაიბურში,
თეთრ-ვარდისფრად ანთებს
ატამი და ნუში.



## მზე და ნაკადული

– სად გარბიხარ, ნაკადულო,
ნამცეცა და ციდავ;
– გეტყვი, მზეო, ერთი წუთით
თუ ჩამოხვალ ციდან.
– გეწვეოდი, მთვარესა და
ვარსკვლავებსა ვფიცავ,
მაგრამ... მე ხომ ვერ დამიტევს
მთელი დედამიწა.
– მზეო, ჩემზე პატარა ხარ,
რა წამოგცდა ეგა,
ამოდენა დედამიწა
გე-პა-ტა-რა-ვე-ბა?!
– ნაკადულო, შენ გგონია
თავი მომაქვს დიდად?
შე ლიკლიკავ, ანდა შენი
მოტყუება მინდა?
მეტსაც გეტყვი, იმ ციმციმა
ვარსკვლავებს რომ უმზერ,
ზოგ მათგანსაც ვერ დაატევ
დედამიწის გულზე.
– ოპო, პო, პო, მზეო, ახლა
მგონი მეხუმრები,
სად შენა და აბა, სად ის
ციცქნა ვარსკვლავები.
ჩემი თვალით დამინახავს
მირს ვარსკვლავთა ცვენა,
თუ ვტყუოდე, დამიდუმდეს
ეს ლიკლიკა ენა!

# მუსიკის გაკვეთილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გაკვეთილში კიდევ ერთხელ შევახსენებთ, თუ როგორ იწერება ნოტები სანოტო ხაზებზე ვიოლინოსა და ბანის გასაღებში.




თქვენ უკვე იცით, რომ ნოტები, რომლებიც სანოტო ხაზებზე არ ეტევა, დამატებით ხაზებზე იწერება. იმისთვის, რომ არ ვამატოთ ბევრი დამატებითი ხაზი, ასეთი ნიშანი იხმარება: 8.............. იგი გვიჩვენებს, რომ ნოტები, რომლებიც დაწერილია, მაგალითად, მესამე ოქტავაში, უნდა დავუკრათ ერთი ოქტავით მაღლა, ანუ მეოთხე ოქტავაში.

ასეთივე ნიშანი ბანის გასაღებში 8.............. გვიჩვენებს, რომ ნოტები, რომლებიც დაწერილია დიდ ოქტავაში, უნდა დავუკრათ ერთი ოქტავით დაბლა, ანუ კონტროქტავაში.

F-6 427

ერთსა და იმავე ხაზზე ვიოლინოსა და ბანის გასაღებში სხვადასხვა ნოტები იწერება.

თუ ვიოლინოს გასაღებში მეორე ხაზზე იწერება ნოტი სოლ,




ბანის გასაღებში ამავე ხაზზე დაწერილ ნოტს ჰქვია სი.




აბა დააკვირდი ქვემოთ დაწერილ ნოტებს. აქ ერთი და იგივე მელოდია დაწერილია როგორც ვიოლინოს, ასევე ბანის გასაღებისთვის. ვიოლინოს გასაღებში დაწერილი ნოტები დაუკარი მარჯვენა ხელით:



ბანის გასაღებში დაწერილი ნოტები მარცხენა ხელით დაუკარი:



გაკვეთილი მიჰყავს მარინა ქარცივაძეს
მხატვარი ნანა იოსელიანი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო



# ჩაინვორდი

ჩაინვორდი, კროსვორდის მსგავსად, სიტყვების გამოცნობაზე აგებული გასართობია. ოღონდ თუ კროსვორდში სიტყვები ერთმანეთს კვეთენ და ურთიერთგადამკვეთ უჯრებში საერთო ასოები აქვთ, ჩაინვორდში სიტყვები ჯაჭვის რგოლებივით ებმიან ერთმანეთს – ერთი სიტყვის ბოლო ასოთი ან ბოლო მარცვლით მეორე სიტყვა იწყება (ჩეინ ინგლისურად ჯაჭვს ნიშნავს). ახლა კი ამოიცანით ამ სახალისო საგაზაფხულო ჩაინვორდში „გადაჯაჭვული“ სიტყვები.




1. ყველაზე ჭირვეული, ხან მტირალი, ხან მცინარი თვე.
2. ვიწროფოთლებიანი, ლამაზი „მტირალი“ ხე. „ტირის“ უპირატესად მდინარეების პირად, ტენიან ადგილებში.
3. ცნობილი ზღაპრის ცივსახელიანი, მაგრამ გაზაფხულივით მშვენიერი, თბილი და კეთილი გმირი.
4. მგალობელი ფრინველი, რომელსაც „დილის“ ამ ნომერში შეხვდით.
5. ცითმომადლებული უნარი რისამე (ხატვის, სიმღერის, სიყვარულის და სხვა მრავალი კეთილი საქმისა...)
6. ის, რასაც დედა შვილს ეცილება, შენი მეო...
7. ადგილი, სადაც თუ არ გინდა, ქვას ვერ დაინახავ.
8. აერთიანებს თავსა და ტანს.
9. ქალაქი. მთლიანად პორტუგალიაშია, ნაწილობრივ – რაჭაში.
10. მტაცებელი ქვეწარმავალი, რომელიც ტროპიკულ წყლებში „აბრიალებს“ კბილებს.
11. 365 – ჯერ წმინდა სახელი.
12. წნელით ან ტკეჩით შეკრული მაღალი, პირგანიერი და ძირწვრილი ჭურჭელი. გამოსადეგია გაზაფხულზე და ზაფხულზეც, მაგრამ ყველაზე მეტად – შემოდგომაზე, რთველში.
13. მთა, რომელიც აერთიანებს დასავლეთ-იმიერ და აღმოსავლეთ-ამიერ საქართველოს. ამიტომ „---ს იქით და ---ს აქეთ საქართველო გიყვარდეთ!“

## ენის გასატეხები

გურამ კობერიძე

კაკაბეთში კაკაბი
ტკბება ვარდით კოკობით,
იქვე ბებო კაკაოს
კაკოს ასმევს კოკობით;

ნეტა დამსვა კაკაბეთში
და ჩამაგდო კაკოს ბედში.

იმერი ხარაძე

სათითაოდ დაითვალა
თამთამ თავის ათი თითი...
ავთომ თვალა, ვერ დათვალა,
ანათითი, ბანათითი...

იოსებ ომაძე

# თეთრწყლებსა და თელავს შუა

როცა, თბილისიდან თელავს მიმავალი, გომბორის უღელტეხილს გასცდები, სოფელ თეთრწყლებსაც უკან მოიტოვებ და თურდოს ხევსაც გადაივლი, - შეხვალ ტყეში... რამდენჯერაც გინდა მიდიოდე ამ გზით, ეს ტყე მაინც ყოველთვის გატყვევებს; წელიწადის დრონი სხვადასხვაგვარად რთავენ მას, ოღონდ ერთნაირად მიმზიდველად.

თუნდაც გაგანია ზაფხულში: სიცხით გათანგული, მანქანით ქალაქს გაერიდები, გომბორის უღელტეხილზე ნისლის რძისფერ ტბას ჩასცილდები და სასწაული ადგილი გამოგეცხადება: აქეთ - ატეხილი მუხრანი, მას მერე - ქარაფი, ქარაფის თავზე - ფსიტის ციხე, უფრო სწორედ, მისი ნარჩენები, ლოჯებად ამოზრდილ-მიჩერებულნი ცისკენ... გზის ორივე მხარეს - ნაირგვარი სიმწვანე, ათასფერადი ყვავილი და ათასნაირი მოფარფატე პეპე-





ლა, მოწინწრიხე კალია თუ მობზუილე მწერი გულის სალბუნად და თვალის გასახარად. ასეთი მწვანე არსად გინახავს - აგვისტოში მელაკუდები (სოკოა ერთგვარი!) წითლად რომ ამობრწყინდებიან აი, ასეთ ხასხასა მწვანეზე, გინდა რომ ხელები გაშალო, ჰაერი ბარაქიანად ჩაისუნთქო, მისი დიდი „ლუკმა“ გადაყლაპო და მერე ნება-ნება ამოუშვა - ღრმად ამოისუნთქო, თვალი კიდევ და კიდევ მოავლო ირგვლივ ყოველივეს... გინდა ფოთლებს ჩაეხუტო, გრილ ბალახზე გაგორდე, მიაჩერდე ცის ლურჯ ფონზე მუხის ფოთლების მწვანე მაქმანს.

გზა გელის... წინ კიდევ რა გამოლევს ლამაზ ადგილებს, მაგრამ ამ ტყისპირის მიტოვება მაინც გეძნელება...

მხატვარი ვაჟა ქურხული

ლია კობალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამშობლო

მტკვარია, ალაზანია,
ალავერდია, გელათი,
ჩემი ბაღჩა და ზვარია,
წისქვილი სარეკელათი.
მამაა უსაყვარლესი,
დედა ენა და თვით დედა,
ტოლმეგობრების ალერსი,
და-ძმა, პაპა და დიდედა.
ოქრომკედულით ნაქარგი
ეს ჭალა, ის მთა ქოჩორა,
ჩუხჩუხა წყაროს რაკრაკი,
ჩემი ბროლა და ბოჩოლა.
მთაა, ვაჟა, აკაკი,
საბა-სულხანი, ილია,
დედა - სამშობლო რა კარგი
და რა საოცრად ტკბილია!..

## პაწაწინა კოსმონავტი

იმარაგებს საწვავ-სათბობს,
არ აშინებს ყინვა-ხვატი,
შესციცინებს ზეცის ტატნობს
პაწაწინა კოსმონავტი.
ანგარიშობს, ხაზავს, ითვლის,
(ასრულება უნდა ნატვრას!)
მრავალი რამ წიგნის კითხვით
შეისწავლა კოსმონავტმა.
მოიარა მზე და მთვარე
თამამ-თამამ, ხატვა-ხატვით,
აფახულებს ჭკვიან თვალებს
ვარსკვლავებში კოსმონავტი!

## ზარმაცი ბელი

ბუდრუგუნა ბელი,
ბალანაბურძგნილი,
ზარმაცი და ზანტი,
ვერა ძღება ძილით.
დედა დრუნჩა შფოთავს
დოინჯშემოყრილი:
- ვისიაო, ვისი,
ეს უქნარა შვილი?

რად არ სურსო, ნეტავ,
გაიხეხოს კბილი,
დაიბანოს ხელი,
დაიბანოს პირი?
დაბანაზე ტირის,
დავარცხნაზე ტირის
და ბუზღუნით გვიკლებს
თითქმის ყოველ დილით.

ინგლისურიდან თარგმნა
რუსუდან მახათაძემ

# რატომ აქვს აქლემს კუზი

რადიარდ კიპლინგი



აი, ზღაპარი, რომელიც გვიამბობს, თუ რატომა აქვს აქლემს ამოდენა კუზი.

უხსოვარ დროს, ჯერ კიდევ მაშინ, სამყარო ახლად გაჩენილ-გამოჩეკილი რომ იყო და პირუტყვებიც ის-ის იყო ჩამდგარიყვნენ კაცთა სამსახურში, დაბოგინობდა ერთი აქლემი, რომელსაც მუშაობაზე წელი სწყდებოდა და ამიტომ თავის დღეებს ერთ პირქუშ უდაბნოში ატარებდა. ის კი არადა, თავადაც სულ ერთთავად პირმოქუშული დაიარებოდა. ეს მოურჯულებელი უქნარა ნაფოტებს, ნარ-ეკალს, კვრინჩხს, რძიანასა და წიწვებს შეექცეოდა და ამით გაჰქონდა თავი. თუ ვინმე შეეხმიანებოდა, „კზზ-ო“, ასე მიუგებდა პასუხად, დიახ, დიახ, „კზზ!“-ო, – ეს იყო და ეს.

ერთხელაც, ორშაბათ დილას, ზურგზე უნაგირშედგმული და პირში ლაგამამოდებული ცხენი ეწვია.

– აქლემო, ჰეი, აქლემო, წამო და ჩვენსავით გააჭენეო, – უთხრა აქლემს.

– კზზ-ო, – მიუგო აქლემმა. ცხენმაც თავისი გზით გასწია და ეს ამბავი კაცს მოახსენა.

ამის მერე სულ მალე აქლემთან ძაღლი მივიდა და შესთავაზა:

– აქლემო, ჰეი, აქლემო, წამო და ჩვენსავით ნანადირევი ათრიეო.

– კზზ-ო, – მიუგო აქლემმა. ძაღლმაც გასწია და ყველაფერი კაცს ჩაუკენჭა.

ცოტა ხანი რომ გამოხდა, ხარი გამოეცხადა. კისერზე უღელი ედგა.

– აქლემო, ჰეი, აქლემო, წამო და ჩვენსავით მიწის ხვნას შეუდექიო, – უთხრა.

– კზზ-ო, – იყო პასუხი. ხარიც წავიდა და ყველაფერი კაცს ჩაუკაკლა.

დღის განმავლობაში კაცმა ყველანი მოიხმო – ცხენიც, ძაღლიცა და ხარიც.

– ჰეი, სათავეს, სამივეს მოგმართავთ! ძალიან მებრალებით, მით უფრო, რომ სამყაროც ახლად გაჩენილ-გამოჩეკილია; მაგრამ უდაბნოს იმ ბინადარს, სულ „კზზ-კზზ“-ს რომ გაიძახის, ეტყობა შრომის თავი არა აქვს, თორემ ახლა ხომ აქ იქნებოდა!! მეც ავიღებ და თავს დავანებებ; მისი წილი საქმე კი თქვენ უნდა იკისროთ და შრომა გაიორკეცოთ.

ამან სამივენი გააგულისა (მით უმეტეს, რომ სამყაროც ახლად გაჩენილ-გამოჩეკილი იყო); უდაბნოსაკენ გასწიეს და განსჯა-თათბირსა და ბჭობა-ვაზირობას შეუდგნენ. ამ დროს იმ მოურჯულებელმა უქნარამ – აქლემმა ჩამოისეირნა რძიანას ცოხნით, და დამცინავად მოიპრუწა. „კზზ-ო“, გამოსცრა და კვლავ გაეცალა იქაურობას.

სად იყო და სად არა, ჩამოიარა ჯინმა – განმგებელმა ყოველთა უდაბნოთა; მტვრის ღრუბელში გახვეულმა ჩამოიქროლა (ჯინები სულ ასე მიდი-მოდიან, ესაა მათი ჯადო!) და სამეულთან შედგა საქმის განსასჯელ-გასარჩევად.

– ჯინო, მბრძანებელო ყოველთა უდაბნოთა! – მიმართა ცხენმა – განა შეშვენის ვინმეს მუქთახორობა, ისიც ახლა, ამ ახლად გაჩენილ-გამოჩეკილ სამყაროში!!

– რა თქმა უნდა, არა! – ბრძანა ჯინმა.

– მაშ, იცოდე, იმ შენს საბრძანებელ პირქუშ უდაბნოში ბინადრობს ერთი სულდგმული (თავადაც სულ ერთთავად პირმოქუშული), გრძელფეხება და კისერწაგრძელებული; ორშაბათ დილას აქეთ დღემდე ჯერ არც კი შეტოკებულა. არა და არ ნებავს რბენა-ჭენება!

– ფიუ! – სტენით გამოსცრა ჯინმა. – ეს ნაღდად ჩემი აქლემი იქნება, ვფიცავ მთელი არაბეთის ოქროს! მაინც რაო, რა მინდაო!

– „კზზ-ო“, გაიძახის, – უპასუხა ძაღლმა, – არა და არ სურს ნანადირევის თრევა.

– სხვას რამეს თუ ჩივის კიდევ!

– „კზზ-კზზ“-ს მეტი არაფერი დასცდენია. არცა მიწის ხვნას კადრულობს, – მიუგო ხარმა.



– კეთილი და პატიოსანი; თუ ინებებთ და წუთით შეიცადით, იმასაც ნახავთ, რა მოჰყვება მაგ „კზზ“, „კზზ-ს“ ძახილს.

ჯინი თავის მტვრის მოსასხამში გაეხვია და უდაბნოსაკენ გაეჩქარა. ცოტაც და, თავს წაადგა იმ უქნარა აქლემს, გუბეში საკუთარი გამოსახულების ცქერით რომ ტკბებოდა.

– ჩემო აკვანჭყულო და გაბღენძილო მეგობარო, – მიმართა ჯინმა, – ეს რა მესმის!! ჯერ არც კი შეტოკებულაო... და ისიც, ახლად გაჩენილ-გამოჩეკილ სამყაროში!

– კზზ-ო, – მიუგო აქლემმა.

ჯინი ჩამოჯდა, ხელი ნიკაპქვეშ ამოიდო და შელოცვა დაიწყო. აქლემი კი ამ დროს გუბეში საკუთარი გამოსახულების ცქერით ტკბებოდა.

– შენი გაუსაძლისი მუქთახორობის გადამკიდე, ეს სამი არსება ორშაბათ დილას აქეთ წელებზე ფეხს იდგამს! – წარმოთქვა ჯინმა და ნიკაპქვეშ ხელამოდებულმა შელოცვა განაგრძო.

– კზზ-ო, – გამოსცრა აქლემმა.

– შენს ადგილას მაგას ეგრე ხშირად არ ვიტყოდი, – მიუგო ჯინმა, – მეტისმეტი არ მოგივიდეს! გასწი და გაისარჯე, რას იბღინძები!?

– კზზ-ო, – მაინც არ დაიშალა აქლემმა; მაგრამ თქმა იყო და... რას ხედავს, ზურგი, რომლითაც ასე მოჰქონდა თავი, ნელ-ნელა, თანდათან ამოებერა და კარგა გვარიანად ამოეკუზა.

– ხომ ხედავ!! შეეხმიანა ჯინი. – ეგეც შენი „ამოკუზებული“ ზურგი, შენივე უსაქმურობით თავად რომ მოუვლინე საკუთარ თავს. დღეს ხუთშაბათია, მუშაობას ყველანი ორშაბათს შეუდგნენ და შენ ჯერ არც კი შეტოკებულხარ. აი, ახლა კი იკადრებ და გაირჯები!

– როგორღა გავისარჯო ამ ამოკუზული ზურგით!! – შეეპასუხა აქლემი.

– ეგ განგებ ვქენი, ის სამი დღე უქმად რომ გაატარე, იმიტომ. ახლა სამ დღეს შეგიძლია საჭმელი არ მოიკითხო და ისე იმუშაო, – ეგ შენი ამოკუზული ზურგი დაგაპურებს; ჰოდა, მერე არ დამიწყო, ჩემთვის არასოდეს არაფერი გაგიკეთებიაო. ახლა კი გაეცალე ამ უდაბნოს, იმ სამეულისაკენ გასწიე და ჭკუით მოიქეცი. კუზიანობა კი შენს თავს დააბრალე!

აქლემსაც სხვა რა გზა ჰქონდა, კუზიანობა საკუთარ თავს დააბრალა და სამეულისაკენ გასწია. მას შემდეგ აქლემს სულ თან დააქვს თავისი ამოკუზული ზურგი (რომელსაც ახლა „კუზად“ ვიხსენიებთ, გული რომ არ ვატკინოთ) ეგაა ოღონდ, დღემდე ვერა და ვერ აუნაზღაურებია იმ სამი დღის დანაკლისი, უქმად რომ გაატარა მაშინ, სამყარო ახლად გაჩენილ-გამოჩეკილი რომ იყო; და კიდევ ის, რომ... ჯერაც ვერ შეუთვისებია ყოფა-ქცევის ანაბანა.

მძიმე ტვირთია აქლემის კუზი,
მძიმე ტვირთია და საზიზღარი,
მაგრამ უარეს კუზსა და დამღას
ატარებს ის, ვინც უსაქმურია და
წარამარა უჩივის დაღლას.
მივმართავ ქვეყნად ყველა უქნარას,
ყველა მცონარას – დიდებს, პატარებს,
ვინც ზარმაცია და უმაქნისი,
მუდამ აქლემის დიდ კუზს ატარებს.
ამ სნეულებას როდი განკურნავს
წიგნის გადაშლა ან ცეცხლთან ჯდომა,
მისი წამალი ბარ-ნიჩაბია,
მუხლჩაუხრელი და მძიმე შრომა.
მაშინ მზე, ქარი, ზღაპრული ჯინი
ერთად ასწევენ ამ კუზს საზიზღარს,
მოგაშორებენ აქლემის დამღას,
ყველა ზარმაცის მძიმე საზიდარს.
ეს კუზი ყველას გვაწვება ზურგზე,
ყველა უქნარას – დიდებს, პატარებს,
ვინც ზარმაცია და უმაქნისი,
მუდამ აქლემის დიდ კუზს ატარებს.

ლექსი თარგმნა
ასმათ ლეკიაშვილმა



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვითარცა მტკვარი

მზე ამოდიოდა,
მთვარე ჩადიოდა,
მამალი ყიოდა,
კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა,
ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა,
ვიღაცას სციოდა, -
და
დრო
გადიოდა.

ვითარცა ღვინო -
ქვევრიდან
ხაპში -
ხაპიდან
დოქში -
დოქიდან
ჯამში -
ქართული სისხლი,
ქართული სული,
ქართული სიტყვა,
ქართული გული
გადადიოდა
კაციდან
კაცში.
გადადიოდა,
გადადიოდა,
გადადიოდა -
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
და მოდიოდა,
ვითარცა მტკვარი.

გზადაგზა სვამდნენ,
ამღვრევდნენ, ღვრიდნენ,
ულმერთოდ ჰრყვნიდნენ,
უგულოდ ჰყიდდნენ.
და...

მიუხედავად ამისა,
მაინც -

გამოიარა
რუსთველის გული,
გამოიარა
ვახტანგის გული,
გამოიარა
თამარის გული,
გამოიარა
სულხანის გული...

და დღეს -
შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს -
ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს -
სულხანის ნაქონი სისხლით -
თბილისის ფართო ქუჩებში
დადის:

ლეილა,
ლონდა,
ნათია,
ნანი,
ელისო,
ვაჟა,
გიორგი,
გივი
და...

იარონ!
იარონ!
იარონ!
ამინ!

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲒᲘᲐ ᲚᲐᲤᲐᲣᲠᲘ

# რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს:



მარიამ ქარჩავას, ლაშა გოგრიაშვილს, ამერიკელ მარიამ ბაბუხადიას, ლიზიკო გეგეჭკორს, ილიკო ლომოურს, დათა ლაფაურს, დათო და ქეთი გურგენიძეებს, ეკატერინე ხარაბაძეს, თეა მხეიძეს, თათული ცქიტიშვილს, ზურა მეტრეველს, ნუციკო და თიკო მახარაშვილებს, ირაკლი და სალომე ლავრინსკებს, ნატაშა გვერდწითელს, ლაშა ამბიძეს, გიორგი და ნიკუშა ცქიტიშვილებს, ზაზა წულაიასა და გიორგი კუპრეიშვილს.

მშობლების საყურადღებოდ:
თუ გსურთ თქვენს პატარას მიულოცოთ დაბადების დღე, დაგვიკავშირდით ორი თვით ადრე. ტელეფონი 93-10-32.

ტაგუ მებურიშვილი

# გაზაფხული



ზამთრის გადავიტანეთ
დიდი ტანჯვა, ვაება,
კანტი-კუნტად დაიწყო
ხეხილმა აყვავება.

გაზაფხულის შემოსვლა,
თქმა არ უნდა, კარგია,
ჰაერში ყვავილების
სურნელების ბანგია.

ხეებში ლანქერები
ხმიანებენ ზარებად,
მე კი სხვა გაზაფხულის
შევნატრი მობრძანებას.

სჭედენ ოქრომჭედლები
ოქროს ჯვრებს და ემბაზებს
და ვოცნებობ სამშობლოს
სულის აყვავებაზე.

მამულს სულს აუყვავებს
სხეულის გამრთელება,
მისი ნება ფეხქვეშ რომ
აღარ გაითელება.

პატარებო - ფრთიანო
ჩვენო ანგელოსებო -
თქვენც ხომ ჩემებრ ამნაირ
გაზაფხულზე ოცნებობთ?!

მხატვარი თამრიკო მებურიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სადილაო



ადილავ და
ვადილავ,
რა დილაა,
რა დილა!
შუადღემდე რომ გძინავს
გაიღვიძე, თანდილავ!
მზეს ამდგარი რომ დახვდე -
უნდა გქონდეს წადილად,
ეს დილა თუ არ ნახე,
ხვალ იქნება სხვა დილა!
დილით ადრე ადგომა
საჭიროა ნამდვილად,
სადილაო საუზმე
რომ არ გექცეს სადილად!

## გამოცანა



უბორბლებო ეტლი არი,
უყვარს წრეში ხეტიალი,
ლაყუჩებით დაათრევენ,
მუცელი აქვს ქერცლიანი.



## კოჭლმაჯამა

აღარ არის, დაკარგულა
ერთი ბატი თაკანტურა,
ვეძიეთ და ვერ ვიპოვეთ
წაიყვანდა ალბათ...



## მისარითმი

ვარდის ბუჩქზე მეუბნება:
- იცი?
ჩემთან მაგ ნოლია!..
თქვენ რას იტყვით?
- მგონი ცდება,
თეთრბაფთება
.................

მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი




# ჩუპა ჩუპსი შამრავი სიურპრიზით!!!

ეკოლოგიურად სრულიად სუფთა, განუმეორებელი გემოს კარამელი საღეჭი რეზინით, საინტერესო გადასაყვანებით და რაც მთავარია:
ვინც შეაგროვებს Fantasy Ball Sticker -ის 50 ცალ ცარიელ ქაღალდს საჩუქრად მიიღებს ზღაპრულ პრიზებს:
Melogy Pop-ის თუთიყუშს, ფუმფულა ჩუსტებს, ჯადოსნურ ჩანთას, ზღაპრულ სკივრს და საწვიმარს!

**არჩევანი თქვენზეა!!!**







ჟურნალ „დილის" საკუთარი ტოპმოდელი
ნია წივწივაძე სამი წლისაა.
უცხო ქვეყნებში ათასი მიწვევის მიუხედავად, იგი,
დაგვპირდა მომავალშიც ჩვენთვის იმუშავებს!
თავის უცხოელი კოლეგებისაგან განსხვავებით
ანაზღაურებასაც ნაკლებს გვჯერდება -
ყოველთვიურად ერთ კილო შოკოლადს და
გადაღების დღეებში ერთ ცალ ბანანს!
გიჟდება: ჩუპა ჩუპსზე.
უყვარს: დედა, მამა, ძმა,
ორი ბებია და ორი ბაბუა.
არ უყვარს: ბაღში სიარული.

პრიზებს გასცემს „დილის" რედაქცია კოსტავას ქ. №14, V სართული.

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი რონიშვილი,
მაგდა კვაჭანტირაძე, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური.
მისამართი: თბილისი, კოსტავას 14, ტელ: 93 10 32, 93 41 30
გამოდის 1904 წლიდან
ყდაზე ნახატი ბესო ხიდაშელისა
დაბეჭდილია ბულგარეთში გამომცემლობა «შერის» მიერ.
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი
ხელმომწერთათვის: 2 ლარი
ინდექსი: 76055